აზარტული, ტემპიანი მატჩი.

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 16 მაისი.

“ცსკა – “დინამო” (თბილისი) 6:5 (0:1, 1:1, 5:4).

ცსკა: ასტაპოვსკი, უტკინი, პლახეტკო, ბაბენკო, კაპლიჩნი, შლაპაკი (ტელინგერი), დოროფეევი, ხისამუტდინოვი, ფედოტოვი, პოლიკარპოვი, დუდარენკო.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, რეხვიაშვილი, ყიფვიანი, წერეთელი.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გაფრთხილება მიეცათ ასათიანს და ფედოტოვს.

დუბლიორები – 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

თბილისელთა გამოსვლას დედაქალაქში ერთობ არასაფეხბურთო ამინდი დაესწრო – წვიმიანი. სველ მინდორზე ჭირდა არა მარტო ბურთის მოთვინიერება, არამედ, საერთოდ, ფეხის მოკიდებაც კი. ასეთ პირობებში მაღალი კლასის ფეხბურთის თამაში ძნელია და ბრძოლას, როგორც წესი, ძალისმიერი ხასიათი ეძლევა ხოლმე.

მაგრამ ეს მატჩი გამონაკლისი იყო. ორივე გუნდი იბრძოდა აზარტულად, ტემპიანად, მახვილგონივრული კომბინაციებით. ხშირი იყო სახიფათო მომენტები ორივე კართან. აქტიურად მოქმედებდნენ თავდამსხმელები, სამუშაო საკმარისზე მეტი ჰქონდათ მეკარეებს და ყველაფერი ეს ძალიან მოსწონდა მაყურებელს. თამაში გაცილებით უფრო შინაარსიანი და საინტერესო იყო, ვიდრე ორი დღის წინ შემდგარი მატჩი მოსკოვის გუნდებს – “სპარტაკსა” და “დინამოს” შორის.

თვალით შესამჩნევი საერთო უპირატესობა რომელიმე გუნდს არა ჰქონია, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ თბილისელთა იერიშები უფრო სწრაფი და მწვავე იყო, კრიტიკული სიტუაციები ცსკა–ს კართან უფრო ხშირად იქმნებოდა. განსაკუთრებით მოგვეწონა წერეთელი – ენერგიული, ტექნიკური, დაუღალავი თავდამსხმელი, რომლის ყოველი მონაწილეობა საიერიშო ეპიზოდებში მძიმე მდგომარეობაში აყენებდა მასპინძელთა დაცვას. ცალკეულ მომენტებში შეუდარებელი იყო ყიფვიანი, კერძოდ, საუცხოოდ ითამაშა მან 29–ე წუთზე, როცა შეუცდომელი ანალიზი გაუკეთა მოსკოველთა მცველების განლაგებას, ზუსტად გაიყვანა კარის წინ რეხვიაშვილი, ამ უკანასკნელი დარტყმის წინაშე კი ასტაპოვსკი უძლური აღმოჩნდა: ბურთი უძლიერესი ძალით იქნა გაგზავნილი “ცხრიანში” – 1:0.

წარმატების განმტკიცება საჭირო იყო მაშინვე, ტაიმის დამთავრებამდე, და საამისო საშუალება დინამოელებს რამდენიმეჯერ მიეცათ კიდეც. მათს სამივე თავდამსხმელს შეეძლო დაეწინაურებინა თავისი გუნდი, მაგრამ არმიელები მეკარემ იხსნა: ასტაპოვსკი გამარჯვებული რჩებოდა უძნელეს ვითარებაშიც კი.

გოლის გაქვითვა მოსკოველებმა შეძლეს 50–ე წუთზე, როცა ტელინგერმა სწრაფი, მოულოდნელი მანევრი ზუსტი, ძლიერი დარტყმით დაამთავრა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, სათამაშო რჩებოდა კიდევ რამდენიმე წუთი და დინამოელებს კვლავ მიეცათ დაწინაურების შესაძლებლობა. საკმარისი იყო რეხვიაშვილსა და ყიფვიანს მეტი სიზუსტე გამოეჩინათ, რომ მასპინძლები ვერ

გადაურჩებოდნენ მეორე გოლს, მაგრამ ეს შანსი თბილისელებმა ხელიდან გაუშვეს. ანგარიში არ შეცვლილა და საქმე პენალტებზე მიდგა.

თბილისელებს აქაც ხელახლა შეექმნათ შანსი, რომ თუნდაც ქულა აეღოთ, როცა ასათიანის, პოლიკარპოვისა და ყიფიანის ზუსტად შესრულებული პენალტების შემდეგ თავი გამოიჩინა გოგიამ და ფედოტოვის დარტყმა აიღო. "დინამო" დაწინაურდა და შემდეგი 11–მეტრიანი ხურცილავას მიანდო. სტადიონზე მყოფთა შორის ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ ძლიერი, ზუსტი დარტყმების მქონე, გამოცდილ ოსტატს ნერვები უღალატებდა, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ხურცილავამაც მიზანს ააცდინა ბურთი. რამდენიმე წამის შემდეგ ტელინგერმა აღადგინა წონასწორობა – 2:2. ამას მოჰყვა ებრალიძის, დუდარენკოს, ჭელიძისა და ბაბენკოს დარტყმები – 4:4.

კვლავ პენალტების სერია. იგი ისევ დინამოელებმა დაიწყეს და მაჩაიძის პირველივე დარტყმის შემდეგ ბურთი ასტაპოვსკის ხელთ აღმოჩნდა. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო დოროფეევზე. არმიელმა ზუსტად შეასრულა თავისი ამოცანა და გამარჯვებაც ცსკა–ს დარჩა.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
"ლელო", 19 მაისი, 1973 წ.